თავისუფლების ქარტია

(მიღებულია 31 მაისი 2011 წელი)

კანონის მიზნები:

საერთაშორისო სტანდარტების, საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების გათვალისწინებით,

სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის

ტერორიზმისა და

ქვეყნის უშიშროების საფუძვლების ხელყოფის აღკვეთა

კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების საფუძვლების გაღვივების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელება,

კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური:

სიმბოლიკის,

საკულტო ნაგებობების

ძეგლების,

მონუმენტების,

ბარელიეფების,

წარწერების,

ქუჩების,

მოედნების,

სოფლებისა და დაბების

სახელწოდებების აღმოფხვრა,

აგრეთვე:

კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი და პროპაგანდის სხვა საშუალებების აკრძალვა.

კომუნისტური ტოტალიტარული იდეოლოგია:

ისეთი იდეოლოგია, რომელიც ხასიათდებოდა

ადამიანის უფლებათა დარღვევით,

მასობრივი ფიზიკური ტერორის სხვადასხვა ფორმით,

ინდივიდუალური და მასობრივი მკვლელობებითა და განადგურებით, საკონცენტრაციო ბანაკებში სიკვდილით დასჯით,

შიმშილობითა და დეპორტაციით,

წამებითა და მონური შრომით,

ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე დევნით, სინდისის, აზრისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვით და სხვა;

კომუნისტური ტოტალიტარული სიმბოლიკა – ისეთი სიმბოლიკა, რომელიც დაკავშირებულია კომუნისტურ ტოტალიტარულ იდეოლოგიასთან და გამოხატავს კომუნისტურ ტოტალიტარულ რეჟიმს

გაგრძელება იხ. შემდეგ გვერდზე